საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№12 პერიოდული გამოცემა 2016 წ. დეკემბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 3
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 4
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 5
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 8
6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 9
7. წარმატებული საქმეები 11
8. ღირსშესანიშნავი თარიღები 13
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 13
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 14

დეკემბერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თვეა. 10 დეკემბერს ჩვენმა აპარატმა, მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე აღვნიშნეთ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის გადაწყვეტილებით, 2016 წლის მთავარი გზავნილი იყო – „აიმაღლე ხმა სხვისი უფლებებისათვის დღეს".

ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობის გაძლიერება საქართველოში" მხარდაჭერით უკვე ტრადიციად ვაქციეთ 10 დეკემბერს დიპლომატიურ კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან 2016 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიშის წარდგენა.

ანგარიშში განვიხილე ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მნიშვნელოვანი მიღწევები და პრობლემები, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია; ვისაუბრე პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებსა და ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე, პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებსა და მათი გამოძიების ხარვეზებზე, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემცირებაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შემთხვევებზე და სასამართლოში საქმის განაწილების ელექტრონული წესის შემოღების გაჭიანურებაზე, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელყოფის ფაქტებზე პროკურატურის მიერ გამოძიების გაჭიანურებაზე.

ყურადღება გავამახვილე სხვადასხვა უმცირესობათა მიმართ ტოლერანტობისა და თანასწორუფლებიანობის კუთხით არსებულ სისტემურ პრობლემებზე, საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლების არასრულყოფილებაზე, შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებული სისტემის გაუმართაობაზე, ბავშვთა დაუცველობაზე ძალადობის, სიღარიბის, ცხოვრების არასათანადო დონისა და ქუჩაში ცხოვრებისა, თუ მუშაობისგან; არც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, ეკომიგრანტების, სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიანტთა და წვევამდელთა სხვადასხვა საჭიროებები გამომრჩენია.

ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ საქართველოს 9 დიდ ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გორში, ახალციხეში, თელავსა და მარნეულში) სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების მიზნით, საინფორმაციო კამპანია გავმართეთ; მოსახლეობას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ვესაუბრეთ, სახალხო დამცველის ინსტიტუციის როლი და ფუნქციები განვუმარტეთ, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ამსახველი ბუკლეტები, ფლაერები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები დავურიგეთ.

თუმცა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე მხოლოდ 10 დეკემბერს არ აღგვინიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით ჩვენმა აპარატმა ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეული ჩაატარა და სხვადასხვა ღონისძიებები გამართა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. მე პირადად გორისა და ახალციხის უმაღლეს სასწავლებლებს ვესტუმრე და სტუდენტებს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონზე, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე, მედიის თავისუფლების მაღალი ხარისხის მნიშვნელობასა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრე.

ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულს დავამთხვიეთ კონკურსის „მე ომბუდსმენი 2016“ გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება. ეს კონკურსი წელს მეშვიდედ გაიმართა; კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ახალგაზრდა თაობისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები. მართალია, კონკურში მონაწილე 1728 მოსწავლიდან მხოლოდ 22 გავიდა ფინალში, მაგრამ ეს მაღალი კონკურენცია ცხადს ხდის, რომ სულ უფრო იზრდება ცნობადობა ადამიანის უფლებებისა და მასთან ჩვენი აპარატის საქმიანობისადმი. მჯერა, ეს ახალგაზრდები ქვეყნის ღირსეული და პრინციპული მოქალაქეები გაიზრდებიან, რომლებიც არ შეუშინდებიან დაბრკოლებებს სხვათა უფლებების დასაცავად.

ამას გარდა, დეკემბერში ადიგენის რაიონის სოფლები მოხე და ჭელა მოვინახულე, მოსახლეობას გავესაუბრე, მათი პრობლემები მოვისმინე. მოხეში

მუსლიმური თემისათვის დღემდე გადაუჭრელია რელიგიური წეს–ჩვეულებების აღსრულების ადგილის საკითხი; სამცხე–ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულსაც შევხდი და რეგიონში არსებული სოციალური პრობლემები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ეკომიგრანტთა საჭიროებები და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევებიც განვიხილეთ.

დეკემბერში, რა თქმა უნდა, სხვა აქტივობებიც გვქონდა, მოვამზადეთ რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები, სასამართლო მეგობრის მოსაზრებები, გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვიზიტები და შიდა შეხვედრები. ამას და სხვა უამრავ ინფორმაციას ქვემოთ მოცემულ ბიულეტენში იხილავთ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება ჭიათურის მაღაროში დასაქმებულის გარდაცვალების შესახებ

სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა **3 დეკემბერს,** ჭიათურის ითხვისის მაღაროს ელმავლის მემანქანის პ.ღ.–ს გარდაცვალების გამო, მიუსამძიმრა გარდაცვლილის ოჯახს და განაცხადა, რომ აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით სრულყოფილი რეგულაციების მიღება და მათი შესრულების მკაცრი მონიტორინგი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას.

2.2. გადაცემა „კაცების დროს“ პრომო გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს

7 დეკემბერს სახალხო დამცველმა საზოგადოებრივ მაუწყებელს მოუწოდა, გადაცემებისა და პრომო რგოლების დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ადამიანის პატივის, ღირსებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვას.

კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „კაცების დროს“ სარეკლამო რგოლში ნაჩვენებია, რომ ქალები საკერავ მანქანებთან ჩუმად მუშაობენ და ამ დროს მამაკაცები ფიქრობენ კოსმოსის დაპყრობაზე, სადაც ქალებსაც წაიყვანენ, რათა „არ მოიწყინონ“.

გავრცელებულ ვიდეოში ქალების დაკნინებულ მდგომარეობაში წარმოჩენით ხდება საზოგადოებაში კაცის ცენტრალური როლის ხაზგასმა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რეკლამა გენდერულად მჩაგვრელ პრაქტიკას ამკვიდრებს და ხელს უწყობს უარყოფითი გენდერული სტერეოტიპების გამყარებას ქალების პროფესიული შესაძლებლობების და მათი განვითარების შესახებ.

2.3. განცხადება შშმ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული სტერეოტიპების ხელშეწყობის ფაქტთან დაკავშირებით

8 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრისა“ და რუსთავის მერიის მიერ გამართულ სპორტული ღონისძიებას, სადაც სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე სავარაუდოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეცვათ მაისურები წარწერით - „შშმპ“.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკითხის მაღალი მგრძნობელობიდან გამომდინარე, ზედმიწევნით ფრთხილად უნდა მოხდეს ღონისძიებათა შინაარსობრივი დაგეგმვა, ვინაიდან არ მოხდეს თანასწორობის პრინციპის ხელყოფა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმების წახალისება.

2.4. განცხადება ჟურნალისტ გიორგი გასვიანის სავარაუდო ცემის ფაქტზე

საქართველოს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა **18 დეკემბერს** შს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლისა და მისი თანმხლები პირების მიერ ტელეკომპანია „იბერიის“ ჟურნალისტის გიორგი გასვიანის სავარაუდო ცემის ფაქტზე.

19 დეკემბერს შს ბორჯომის რაიონულ სამმართველოში ძალადობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, ხოლო პოლიციელს უფლებამოსილება დროებით შეუჩერდა, რასაც სახალხო დამცველი მიესალმება.

სამწუხაროდ, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო ძალადობის და არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიება ხშირად ჭიანურდება და არაეფექტურად მიმდინარეობს. ჭიანურდება საქმის სასამართლო განხილვაც. სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ჩაატაროს ყოვლისმომცველი, სრული და ობიექტური გამოძიება და ძალადობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელიც სამართალდამცველის სახელს ამოფარებული ახორციელებს ძალადობას, ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. შეხვედრა მოხესა და ჭელას მოსახლეობასთან

7-8 დეკემბერს სახალხო დამცველი ადიგენის რაიონის სოფლების მოხესა და ჭელას მოსახლეობას შეხვდა. სოფლებში ორია წელია მიმდინარეობს დავა მუსლიმებსა და მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის. მუსლიმი მოსახლეობის მტკიცებით მოხეს ცენტრში მდგომი შენობა ნაგებობა მეჩეთს წარმოადგენს და ისინი მზად არიან სალოცავი ბოლომდე დაიცვან, რასაც ქრისტიანი მართლმადიდებლები არ ეთანხმებიან. სახალხო დამცველის ერთ–ერთი მთავარი რეკომენდაციაა დადგინდეს შენობის წარმომავლობა.

სამცხე–ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ–გუბერნატორ აკაკი მაჭუტაძესთან გამართულ შეხვედრაზე მოხეს საკითხთან ერთად მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პრობლემებიც განიხილეს; ისაუბრეს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონის ხარვეზებზე, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, სამედიცინო დაწესებულებებისა და სოფლის ამბულატორიების აშენება–რეაბილიტაციის საკითხებზე, ინფრასტრუქტურის საკითხების მოგვარების აუცილებლობაზე; აგრეთვე ეკომიგრანტების საჭიროებებზე და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევებზე.

3.2. შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან

12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის მოადგილეები ნათია კაციტაძე და ეკატერინე სხილაძე და სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანი ეკატერინე ფოფხაძე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს სოფიო კილაძეს შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მიმდინარე და აქტუალური საკითხები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებები, განსაკუთრებით სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე მომზადებული ცვლილებები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. ისაუბრეს სამომავლო პერსპექტივებზეც.

3.3. სახალხო დამცველი აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა

13-16 დეკემბერს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა 2014 წლის ნოემბრიდან დაწყებული რეგულარული დიალოგის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ქარულ-აფხაზურ შეხვედრაში. შეხვედრაზე ქართული და აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ისაუბრეს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის განათლების უფლებაზე, ცნობიერების ამაღლებაზე, გადაადგილების თავისუფლებასა და მასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის უფლებაზე, ქალთა და ბავშვთა უფლებებზე, პენიტენციალურ სისტემაში არსებულ ვითარებაზე. დაგეგმეს კონკრეტული ნაბიჯები ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

3.4. სამუშაო შეხვედრა კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ქალთა და ბავშვთა უფლებების შესახებ

21 დეკემბერს სახალხო დამცველმა სამუშაო შეხვედრა გამართა სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგნელებთან კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ქალთა და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური ანგარიშის სამუშაო ვერსია წარადგინა, რომელშიც ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციებია მოყვანილი. ანგარიშში ასახული პრობლემები ეხება ოჯახში ძალადობას, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ დონეს, ბავშვთა სიღარიბეს, უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევას, განათლების უფლების შეზღუდვას, ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკის არათანმიმდევრულობას, ან სულაც არ არსებობას.

3.5. შეხვედრა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

23 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ და მათ მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა კონცეფციას გაეცნენ, რომელიც სახელმწიფოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის უფრო მეტად ლიბერალური პოლიტიკით ჩანაცვლებას მიზნად ისახავს.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

4.1. წინადადება შშმ პირებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოებისა და მონაცემთა შეგროვების შესახებ

13 დეკემბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოებისა და მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი ითხოვს საკანონმდებლო დონეზე დაწესდეს შშმ პირთა თაობაზე სტატისტიკის წარმოების ვალდებულება, სტატისტიკის წარმოების პრინციპები და მეთოდები შეესაბამოს საერთაშორისო სტანდარტებს, სრულყოფილი სტატისტიკა შეუერთდეს სტატისტიკის წარმოების არსებულ სისტემას, უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ორგანიზაციების ჩართულობა როგორც მონაცემთა შეგროვების კრიტერიუმების განსაზღვრის, ისე სტატისტიკის წარმოების პროცესში, წარმოებული სტატისტიკა ხელმისაწვდომი იყოს, სტატისტიკური სამუშაოების პროგრამამ მოიცვას დეტალური ინფორმაცია და შესრულდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები.

4.2. ზოგადი წინადადება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სტატისტიკის წარმოების შესახებ

9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ზოგადი წინადადებით გენდერული ნიშნით შევიწროვების, სექსუალური შევიწროვებისა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სხვა საქმეების შესახებ სტატისტიკის წარმოების აუცილებლობის თაობაზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სქესით თუ სხვა ნიშნით დივერსიფიცირებულ ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა დამოუკიდებელ მკვლევარებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს უზღუდავს შესაძლებლობას, შეისწავლონ დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებული სასამართლოს პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

4.3. ზოგადი წინადადება ინკლუზიური განათლების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან აცილების შესახებ

23 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი წინადადებით მიმართა და მოუწოდა, დააჩქაროს ინკლუზიური განათლების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. კერძოდ, საკანონმდებლო დონეზე დეტალურად განისაზღვროს ინკლუზიური განათლების

მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციები, რომლებიც აამაღლებს მის ეფექტურობას სკოლებში ინკლუზიური განათლების ორგანიზებისა და მასზე ზედამხედველობის თვალსაზრისით, ასევე მისი, როგორც სკოლასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლებს შორის შუამავლის ფუნქციებს.

ასევე საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სპეციალური მასწავლებლის როლი და უფრო ეფექტური გახადოს მისი ფუნქციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინკლუზიურ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. სპეციალური წერილი აფხაზური ენის სწავლების უზრუნველსაყოფად

5 დეკემბერი. საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრს აჭარაში მცხოვრები დაახლოებით 1600 ეთნიკურად აფხაზი მოქალაქეებისათვის აფხაზური ენის შენარჩუნებისა და მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფის თხოვნით მიმართა.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მეორე სახელმწიფო ენა – აფხაზური, იუნესკომ 2011 წლიდან გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფ ენათა რიცხვში შეიტანა. სახალხო დამცველი აუცილებლობად მიიჩნევს შეიქმნას აფხაზური საკვირაო სკოლა ან სასკოლო განათლების ფარგლებში აფხაზური ენის შემსწავლელი ჯგუფები, რათა ქვეყანაში შენარჩუნდეს და განვითარდეს აფხაზური ენა.

5.2. სახალხო დამცველის საჯარო ლექციები

ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულის ფარგლებში, სახალხო დამცველმა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში და ახალციხის უნივერსიტეტში საჯარო ლექციები გამართა.

5 დეკემბერს გორის და **8 დეკემბერს ახალციხის უნივერსიტეტის** სტუდენტებთან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა მიმოიხილა, მათ შორის გენდერული თანასწორობის, ბავშვთა, უსახლკაროთა და შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით; ისაუბრა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღებული კანონის იმპლემენტაციის საკითხებზე, დევნილთა საჭიროებებსა და მედიის თავისუფლების მაღალი ხარისხის მნიშვნელობაზე; ასევე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის აუცილებლობაზე; ზოგადად განიხილა მართლმსაჯულების კუთხით და პენიტენციურ სისტემაში არსებული გამოწვევები და სახელისუფლებო უწყებების მიმართ შემუშავებული მთავარი რეკომენდაციებიც წარმოადგინა. სამოქალაქო განათლების თვალსაზრისით, უჩა ნანუაშვილმა სტუდენტებს სახალხო დამცველის მანდატი და სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის საქმიანობა გააცნო.

გორის უნივერსიტეტში სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე, ქართულ–აფხაზური დიალოგის მიმდინარეობაზე.

სახალხო დამცველმა საჯარო ლექციები 10 დეკემბრის შემდეგაც გამართა. **19 დეკემბერს** სახალხო დამცველის აპარატს იმერეთის რეგიონის კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეები ეწვნენ, ოფისი დაათვალიერეს მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებიც მოისმინეს; **21 დეკემბერს** სახალხო დამცველი თანამედროვე განათლების აკადემიის მოსწავლეებს, **22 დეკემბერს** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ხოლო **23 დეკემბერს** თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და ადამიანის უფლებებზე, ამ თვალსაზრისით ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებზე, ასევე სახალხო დამცველის მანდატზე ესაუბრა.

5.3. ღონისძიება – „გავერთიანდეთ ბავშვთა უფლებების დასაცავად“

7–9 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა თამთა ბაბუნაშვილმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თურქეთის ოფისის და თურქეთის ომბუდსმენის ორგანიზებით თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გამართულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მოხსენება წაიკითხა ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობისა და არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ; ასევე მიმოიხილა დახურული ტიპის დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგები და საქმისწარმოების ძირითადი პრინციპები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები თურქეთის ომბუდსმენის აპარატსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თურქეთის ოფისის წარმომადგენლებთან.

5.4. საჯარო სკოლებში წყლის ხარისხის მდგომარეობის შესახებ

8 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებს მოუწოდა საქართველოს ყველა სკოლაში სათანადო რეგულარობით შემოწმდეს წყლის ხარისხი და მიღებული იქნეს ყველა საჭირო ზომა წყალმომარაგების სისტემების შეყვანის, წყლის ხარისხის შემოწმებისა და წყლის გაუვნებელყოფის უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საჯარო სკოლებიდან აღებული სასმელი წყლის 129 სინჯი გამოიკვლია და 45 სინჯი ეპიდემიოლოგიურ არაკეთილსაიმედოობაზე მიუთითებდა. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატის შემოწმებამ მთელ რიგ საჯარო სკოლებში წყალმომარაგების მილსადენი სისტემების გაუმართაობა გამოავლინა.

5.5. კონკურსი „მე ომბუდსმენი 2016“ – გამარჯვებულთა დაჯილდოება

9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და საპარლამეტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ კონკურსის „მე ომბუდსმენი 2016“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოეს.

„მე ომბუდსმენის მთავარი მიზანი სახალხო დამცველის და ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღებაში მდგომარეობს. მე მჯერა, რომ ამ კონკურსის დროს მიღებული ცოდნა დაგეხმარებათ გახდეთ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები და დაიცვათ თქვენი და სხვათა უფლებები“, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

კონკურსი და დაჯილდოება სახალხო დამცველის ორგანიზებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით გაიმართა.

5.6. საქართველოს სახალხო დამცველი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოთხოვნას სქესის ნიშნით დისკრიმინაციად მიიჩნევს

13 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განცხადებას საახალწლო კონცერტის წამყვანად მამაკაცის ვაკანსიასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასაქმების სფეროდან ქალთა გამორიცხვის ასეთი აშკარა მცდელობა განსაკუთრებით საგანგაშოა საჯარო ხელისუფლების მხრიდან. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, შესაბამისი პირობები შექმნას ქალების მიერ შრომის უფლების სრულყოფილი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველმა მოუწოდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს, აღმოფხვრას დისკრიმინაციული მიდგომა და საახალწლო ღონისძიების წამყვანის

პოზიციაზე დასაქმების შესაძლებლობა მისცეს კანდიდატებს არა მათი სქესის, არამედ შესასრულებელ სამუშაოსთან მათი კვალიფიკაციის შესაბამისობის გათვალისწინებით.

5.7. შეკრების თავისუფლების შეზღუდვის შესახებ

15 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მთავრობის ადმინისტრაციის წინ მოშიმშილე ნიკა ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ შიმშილობის აქციის დროს მას არ მიეცა შენობის წინ სკამის დადგმის შესაძლებლობა; ხოლო **26 დეკემბერს,** პარლამენტის შენობის წინ მოშიმშილე გიორგი გაბედავას ინფორმაციით, პოლიციამ ხელი შეუშალა დასადგმელი ქოლგით სარგებლობასა და კარვის გაშლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ აქცია არ იწვევს შენობის შესასვლელების, საავტომობილო გზის ბლოკირებასა და დაწესებულების საქმიანობის შეფერხებას, სახელმწიფოს მიერ შეკრების თავისუფლების ხელშეშლა და შეზღუდვა დაუშვებელია; აქციების დროებითობა არ გამორიცხავს საპროტესტო კარვებისა და სხვა არამუდმივი კონსტრუქციების აღმართვას.

სახალხო დამცველმა მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა პასუხისმგებელ სტრუქტურებს, ხელოვნური და კანონშეუსაბამო არგუმენტებით არ შეუშალონ ხელი შეკრების თავისუფლების რეალიზებას.

5.8. „სამოქალაქო საზოგადოების როლი ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებაში“

16-17 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი ექსპერტი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში ქეთი ახობაძე ერევანში სამოქალაქო საზოგადოების აფხაზ, ოს და ქართველ წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა და ადამიანის უფლებების დაცვისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში სახალხო დამცველის როლზე ისაუბრა.

სამოქალაქო მოსმენების კავკასიური ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრა მიზნად ისახავდა საზოგადოებებში ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხების განხილვას და თანამშრომლობის გზების ძიებას ამ პრობლემებთან გასამკლავებლად.

5.9. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

27 დეკემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე სახალხო დამცველმა საკონსულტაციო საბჭოს ახალი წევრები ანა ნაცვლიშვილი და ნინო გობრონიძე წარადგინა.

სხდომაზე შეაჯამეს 2016 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ გაწეული საქმიანობა, განსაზღვრეს მომავალი წლის პრიორიტეტები, განიხილეს დახურულ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, გაეცნენ ინფორმაციას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, რეკომენდაციების ადვოკატირების სტრატეგიასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

5.10. ტრენინგი ჟურნალისტებისათვის გენდერის საკითხებზე

12-13 დეკემბერს, თელავში ბულგარეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება კახეთის რეგიონში“ პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს და მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე - „გენდერის ძირითადი საკითხები და ჟურნალისტური ეთიკა“.

ტრენინგზე განიხილეს საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები, სექსიზმის პრობლემა, სექსუალური იდენტობა, ოჯახში ძალადო-

ბის კუთხით ქვეყანაში არსებული გამოწვევები, მსხვერპლის უფლებები და დაცვის მექანიზმები; ასევე, მედიის როლი, გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გაშუქების პროცესში.

5.11. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი თემაზე – „ოჯახში ძალადობა და მასზე რეაგირების მექანიზმები“

14-18 დეკემბერს, თელავში საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან წარმოდგენილი პოლიციის 40 თანამშრომელს „ოჯახში ძალადობისა და მასზე რეაგირების მექანიზმების“ თემაზე ტრენინგი ჩაუტარა, სადაც ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მსხვერპლთა დაცვა და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმები განიხილეს.

ტრენინგს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ მესხი და შსს-ს პოლიციის აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი წარუძღვნენ.

ღონისძიება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო

6.1. შეხვედრები ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე

1 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით სამმართველოს საქმიანობის შესახებ, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის გზებზე არსებულ დაბრკოლებებზე.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობის მიზნით ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად განხორციელებულ სიახლეებზე.

2 დეკემბერს მადონა ბასილაძე World Vision Georgia–ს პროექტის ფარგლებში შექმნილი „ბავშვთა დაცვის“ ჯგუფის წევრებთან ერთად ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს შეხვდა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის კუთხით ურთიერთთანამშრომლობის გზებზე და სახალხო დამცველის აპარატის როლზე ისაუბრა.

6.2. მსოფლიო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები

6 დეკემბერს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე ევროპის იურისტ სტუდენტთა ქუთაისის ასოციაციის (ELSA) სტუდენტებს სახალხო დამცველის მანდატზე, ადამიანის უფლებებზე, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გზებზე და ტენდენციებზე ესაუბრა.

8 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატისა და შვეიცარიის საელჩოს ორგანიზებით სკოლა პროგრესში სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის მოეწყო ფილმ „გრძელი ნათელი დღეების“ ჩვენება, რომელსაც აქტიური დისკუსია მოყვა.

9 დეკემბერს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთი სამმართველოს თანამშრომლები გიორგი ლაბაძე და ქსენია მესხიძე აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ხოლო, მადონა ბასილაძე და თამთა ჩეჩელაშვილი იოსებ ოცხელის ქუთაისის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები და სახალხო დამცველის მანდატი გააცნეს.

6.3. შეხვედრა ჭოგნარის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

7 დეკემბერს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე „პროფესიული ორიენტაციის“ პროექ-

ტის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჭოგნარის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა, სადაც ისაუბრა სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობასა და მანდატზე.

6.4. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის საჯარო შეხვედრა მოაწყვეს, რომელზეც ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა მიმოიხილეს და სახალხო დამცველის მანდატზე ისაუბრეს.

სამეგრელო - ზემო სვანეთის სამმართველო

6.5. შეხვედრა აივ/შიდსის ვირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე

1 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქსენონის“ ორგანიზებით აივ/შიდსის გავრცელების პრევენციაში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზის, ასევე, ზიანის შემცირების პროგრამების მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით მრგვალი მაგიდა გაიმართა.

სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა ლევან პაპავამ შეხვედრაზე დისკრიმინაციის შემთხვევებზე სახალხო დამცველის უფლებამოსილების, რეაგირების ფორმების, პროცედურების, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ საქართველოს კანონის რეგულაციების შესახებ ისაუბრა.

დისკუსიის შემდგომ შეხვედრის მონაწილეები ადამიანის უფლებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

6.6. შეხვედრა ევროკავშირის რეგიონულ ოფისში

2 დეკემბერს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის ოფისში სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მოხსენება წარადგინეს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფორმების, დანაშაულის მასშტაბების, სამეგრელოს რეგიონში გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების რაოდენობის, სახალხო დამცველის უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული რეაგირებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.

6.7. შეხვედრა ზუგდიდის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

7 დეკემბერს ლევან პაპავა ადამიანის უფლებათა კვირეულთან დაკავშირებით ზუგდიდის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა და საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომაროების, სახალხო დამცველის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპების, პროცედურისა და შესაძლო შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრაზე დამატებით, სხვა საინტერესო საკითხებზეც ისაუბრეს.

გურიის ოფისი

6.8. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე

5–8 დეკემბერს გურიის ოფისის მთავარმა სპეციალისტმა ანა გახოკიძე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით რეგიონის სკოლებსა და თვითმმართველობის ორგანოებში შეხვედრები გამართა, სადაც საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში – „ხმა აიმაღლე სხივის უფლებებისთვის დღეს“ სახალხო დამცველის საქმიანობაზე, მის მანდატზე და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე ისაუბრა.

აქტივობაში მონაწილეობა მიიღო ასევე სახალხო დამცველის საკონტაქტო პირმა გურიის რეგიონში მაკა მალაყმაძემ.

შეხვედრები ჩატარდა ლანჩხუთის №1, ჩოხატაურის №1, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტის“ სტუდენტებთან. ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლებთან.

6.9. შეხვედრა ბავშვთა უფლებების დაცვის თემაზე

15 დეკემბერს სახალხო დამცველის გურიის ოფისის მთავარი სპეციალისტი ანა გახოკიძე ადგილობრივ არსამთავრობო სექტორს შეხვდა და გურიაში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა განიხილა. შეხვედრის მონაწილეები მომავალში ბავშვთა უფლებების სავარაუდო დარღვევის დროული გამოვლენის მიზნით თანამშრომლობის გზებზე შეთანხმდნენ.

კახეთის ოფისი

6.10. შეხვედრა იორმუღანლოს თემის მოსახლეობასთან

21 დეკემბერს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ანა მოსიაშვილი იორმუღანლოს თემის სოფლების: თულარის, კაზლარის, ქეშალოს, ლამბალოსა და დუზაგრამას მოსახლეობას შეხვდა და სახალხო დამცველის მანდატის, ძირითადი პროგრამებისა და მიმართულებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სოფელ იორმუღანლოსა და სოფელ თულარის გამგებლების წარმომადგენლები. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა იმსჯელეს იორმუღანლოს თემში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

6.11. შეხვედრა ნაფარეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

9 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატის თელავის ოფისის თანამშრომლები ნათია ფიცხელაური და ეთერ შიუკაშვილი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ და სახალხო დამცველის მანდატი, ბავშვის უფლებები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო ინფორმაცია გააცნეს. სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები და სახალხო დამცველის საქმიანობის შესახებ ბროშურები.

მარნეულის ოფისი

6.12. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასა და ახალგაზრდებთან მარნეულში

9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლებმა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირსა“ და სტუდენტებთან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები განიხილეს. მონაწილეები საქართველოს სახალხო დამცველის მანდატსაც გაეცნენ.

6.13. შეხვედრა მარნეულის მუნიციპალიტეტის პირობით მსჯავრდებულებთან

9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისში გაიმართა შეხვედრა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს მარნეულის ოფისში აღრიცხვაზე მყოფ პირობით მსჯავრდებულებთან.

შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებს, საქართველოს სახალხო დამცველის მანდატს. პირობით მსჯავრდებულებს დაურიგდათ სახალხო დამცველის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ბროშურები.

7. წარმატებული საქმეები

7.1. სააპელაციო სასამართლომ სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება გაითვალისწინა

6 დეკემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ზეპირი განმარტების მისაცემად დაესწრო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომას დევნილის სტატუსით მოსარგებლე ს.გ.–ს საქმის განხილვასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა მყ-

იდველის მიერ მესამე პირის (ს.გ.–ს) წერილობითი თანხმობის გარეშე ხელმოწერილ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომელიც ს.გ.–ს სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებლის მიღების უფლებას უზღუდავდა.

საქმეზე სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება სახალხო დამცველმა 2016 წლის 3 ივნისს წარადგინა.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში ასახული ანალოგიურ საქმეებთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოში დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა და ძალში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

7.2. სახალხო დამცველის ძალისხმევით, შსს-მ მოქალაქეს საჯარო ინფორმაცია მიაწოდა

5 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რათა უკრაინის მოქალაქე ს.ვ.–სთვის ხელმისაწვდომი გაეხადა საჯარო ინფორმაცია.

ს.ვ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ტერმინ – „საშიში პიროვნების“ – სამართლებრივი დეფინიციის თაობაზე ინფორმაციას ითხოვდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ს.ვ.–ს აცნობა, რომ კანონმდებლობის ტერმინთა განმარტება აღემატებოდა მათ კომპეტენციას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება და არც მოთხოვნილი ინფორმაცია გასცა და არც აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი განმარტა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და ს.ვ.–ს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდა.

7.3. სახალხო დამცველის ძალისხმევით მოქალაქემ საჯარო ინფორმაცია მიიღო

12 დეკემბერს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და ნ.თ.–ს საჯარო ინფორმაცია მისთვის მისაღები ფორმით გადასცა.

ადმინისტრაციულმა ორგანომ ნ.თ.–ს არ მიაწოდა მისი საჩივრის განხილვის საფუძველზე ექიმ მ.გ.–სთვის პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომის აუდიოჩანაწერის ის მონაკვეთი, სადაც ნ.თ.–ს საჩივარი განიხილებოდა, იმ საფუძვლით რომ ჩანაწერი შეიცავდა ინფორმაციას სხვა პირების პერსონალური მონაცემებისა და ჯანმრთელობის შესახებ.

სახალხო დამცველის აზრით, ინფორმაციის გაცემა შესაძლებელი იყო სხვა პირთა პერსონალური მონაცემების დაშტრიხვით, შესაბამისად, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რამაც, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა გამოიწვია.

7.4. საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის მიერ გასაჩივრებული ნორმები არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად სცნო

23 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად სცნო საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გასაჩივრებული ნორმების ნორმატიული შინაარსი. კერძოდ, სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის, ასევე მოხმარების მიზნით შეძენის, შენახვისა და დამზადებისთვის სანქციად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ზედმეტად მკაცრია და წარმოადგენს ღირსების შემლახველ სასჯელს.

საქართველოს სახალხო დამცველი ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიმრო სანქციების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მცირე ოდენობით მარიხუანის მოხმარების, ასევე მოხმარების მიზნით შეძენის, შენახვისა და დამზადების ნაწილში ნორმები იმეორებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს.

7.5. კერძო კომპანიამ დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

26 დეკემბერი. სატრანსპორტო კომპანია „მეტრო ჯორჯიამ“ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დაიწყო პროგრამულ ცვლი-

ლებაზე მუშაობა, რათა, კომპანიის ვებ-გვერდს დაემატოს ახალი პარამეტრი, რომელიც მგზავრს საშუალებას მისცემს ბილეთის შეძენისას ელექტრონულად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, თანახმაა თუ არა მის გვერდით არსებული სამგზავრო ბილეთი სხვა სქესის ადამიანმა შეიძინოს.

დღემდე მოქმედი რეგულაციის თანახმად, მგზავრს უფლება აქვს მხოლოდ თავისივე სქესის ადამიანის გვერდით შეიძინოს სამგზავრო ბილეთი, რაც სახალხო დამცველის აზრით, შესაძლოა ქალთა და მამაკაცთა შორის სეგრეგაციის წამახალისებელი იყოს.

8. ღირსშესანიშნავი თარიღები

8.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე

ყოველწლიურად **3 დეკემბერს** მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. მიმდინარე წელს ამ დღის თემაა „მდგრადი განვითარების დღის წესრიგის 17 მიზნის მიღწევა მომავლისთვის, რომელიც ჩვენ გვინდა“. თემა ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიური გარემოს მშენებლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა როლზე და სოციალური ბარიერების აღმოფხვრაზე.

საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მოუწოდა სახელმწიფოს, გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობა ინკლუზიურ და მდგრად საზოგადოებაში; შეიმუშავოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულების ქმედითი მექანიზმის და მოახდინოს ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

20 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2006 წელს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების კოლექტიურ გამოძევებასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქართველოს მოქალაქეთა სამი სარჩელი დააკმაყოფილა.

საქმეზე „**ბერძენიშვილი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ**“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რიგი მომჩივნების მიმართ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე–3 მუხლი (წამების აკრძალვა), მე–5 მუხლი (თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება), მე–4 ოქმის მე–4 მუხლის (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და მე–13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მე–3 მუხლთან მიმართებით.

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან საქართველოს მოქალაქეების გაძევება ადმინისტრაციულ პრაქტიკას წარმოადგენდა. ამასთან, გაძევების პროცესი არ მიმდინარეობდა თითოეული ინდივიდის კონკრეტული საქმის სათანადო გამოკვლევის საფუძველზე და ბევრ მათგანს, მათ შორის მომჩივნებსაც, არ ჰქონდათ ეფექტური და ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები, რათა სადავო გაეხადათ მათი დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერების საკითხი.

გარდა ამისა, სასამართლო მიუთითებს რუსეთის ფედერაციაში არსებული პატიმრობის პირობების არაადეკვატურობაზე, რაც ქვეყანაში სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენს. ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე მომჩივანთა პატიმრობის პირობები პოლიციის განყოფილებებსა თუ უცხოელთა დაკავების ცენტრში შეაფასა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა – კონვენციის მე–3 მუხლის მოთხოვნების დარღვევით.

სახელმწიფოთაშორის საჩივარში საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ კონვენციის 41–ე მუხლის (სამართლიანი დაკმაყოფილება) გამოყენების საკითხი ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის და მისი განხილვა კვლავ მიმდინარეობს სასამართლოს დიდ პალატაში. ამ მიზეზით ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ინდივიდუალურ საქმეში მომჩივანთა ზიანის ანაზღაურების საკითხი გამოკვლევისთვის არ არის მზად და მისი განხილვა გადადო. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთის ფედერაციას მომჩივანთა სასარგებლოდ სამართალწარმოებისას გაწეული ხარჯის 3 037.65 ფუნტი–სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

20 დეკემბერს სასამართლომ ორ სხვა საქმეზეც მიიღო გადაწყვეტილება, რომლებიც რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების კოლექტიურ გამოძევებას შეეხება. საქმეზე „**ძიძავა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ**“, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე–2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა და რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებლად ცნო მომჩივნის მეუღლის თეიმურაზ ტოგონიძის გარდაცვალების გამო. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის საგამოძიებო ორგანოების მიერ თ. ტოგონიძის გარდაცვალების ფაქტზე წარმოებული გამოძიება არ იყო ეფექტური.

სასამართლომ ასევე, დაადგინა კონვენციის მე–3 და მე–13 მუხლის დარღვევა მე–3 მუხლთან მიმართებით, რადგან ტოგონიძის დაკავებისა და ტრანსპორტირების პირობები არაადამიანური და დამამცირებელი იყო, ხოლო რუსულ სამართლებრივ სისტემაში არ არსებობდა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები, რაც მომჩივანს მისცემდა საშუალებას გაესაჩივრებინა არსებული არაადამიანური და დამამცირებელი საპატიმრო პირობები.

რუსეთის ფედერაციას გარდაცვლილი ტოგონიძის მეუღლის სასარგებლოდ 40 000 ევროს გადახდა და სამართალწარმოებისას გაწეული ხარჯის 1 944.78 ფუნტ–სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 48 წლის ასთმით დაავადებული თ. ტოგონიძე სანკტ–პეტერბურგიდან მოსკოვის აეროპორტში გადაყვანისას ავტობუსიდან გადმოსვლისთანავე გარდაიცვალა. 9 საათიანი მგზავრობისას დროს პოლიციის თანამშრომლებმა ტოგონიძეს ავტობუსის ფანჯრის გაღების საშუალება არ მისცეს. მანამდე ტოგონიძე, სხვა ქართველებთან ერთად, ღირსების შემლახავ, მძიმე საპატიმრო პირობებში, სანკტ–პეტერბურგის უცხოელთა დაკავების ცენტრში ჰყავდათ მოთავსებული, სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე.

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „**შიოშვილი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ**“ კონვენციის მე–3 მუხლის, 13 მუხლის მე–3 მუხლთან მიმართებით და მე–4 ოქმის მე–4 მუხლის დარღვევა დაადგინა. დეპორტაციის შედეგად 9 თვის ფეხმძიმე საქართველოს მოქალაქე ლ. შიოშვილს თავის ოთხ მცირეწლოვან შვილთან ერთად ორი დღე–ღამე ქუჩაში, ორი კვირა მძიმე პირობებში ყოფნისა და საზღვარზე ფეხით გადმოსვლის შედეგად, ნაყოფი დაეღუპა და მკვდარი ბავშვი დაბადა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არამატერიალური ზიანისთვის მომჩივნებს რუსეთის ფედერაციამ 30 000 ევრო უნდა გადაუხადოს.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. საკადრო ცვლილებები

დეკემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე კონკურსის წესით შეირჩა გვანცა დავითაშვილი, ხოლო სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხების დეპარტამენტში მუშაობა დაიწყეს ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტებმა თინათინ თინიკაშვილმა და მარიამ მოსეშვილმა.

10.2. სახალხო დამცველის ბიბლიოთეკის საქმიანობა

2016 წელს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკამ სახალხო დამცველის წლიური ანგარიშით, სპეციალური ანგარიშებით და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული სხვადასხვა სახის პუბლიკაციებით მოამარაგა სასჯელაღსრულების 15 დაწესებულება, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედი 70 ბიბლიოთეკა, 13 უმაღლესი სასწავლებელი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება; ასევე, სახალხო დამცველის რეგიონული ოფისები.

სახალხო დამცველის ინგლისურენოვანი გამოცემები პერიოდულად საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ეგზავნება.

სახალხო დამცველის ბიბლიოთეკის მთავარი მიზანი და ამოცანა ადამიანის უფლებათა შესახებ ნებისმიერი დაინტერესებული პირის ცოდნის დონის ამაღლებაა. ბიბლიოთეკაში 7 ათასამდე, ძირითადად იურიდიული ხასიათის წიგნია თავმოყრილი. აქ ნახავთ როგორც სახალხო დამცველის აპარატის გამოცემებს, ასევე საზღვარგარეთ გამოცემულ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკით სარგებლობა ყველა მსურველისთვის არის ხელმისაწვდომი.

10.3. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობა

დეკემბერში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების და შეტყობინებების საფუძველზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა 28 ვიზიტი განახორციელა პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში, თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში და აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, მოინახულა 75 პატიმარი და დაკავებული.

პენიტენციური დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის შესახებ ვითარების გასარკვევად, **29 დეკემბერს** სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის წარმომადგენელი შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას, თანამშრომლებს, პატიმრებს, დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, მოიპოვა და შეამოწმა გარდაცვლილი პატიმრის შესახებ ყველა სახის დოკუმენტაცია.

ვიზიტებისას დროს დაფიქსირებული პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა სახელმწიფო ორგანოებს მიმართა.

10.4. მომართვიანობის სტატისტიკა

დეკემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 732 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 523 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი -7
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 47
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 243
- რეგიონული დეპარტამენტი -135
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი -26
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი -14
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი -18
- ანალიტიკური დეპარტამენტი -5
- თანასწორობის დეპარტამენტი -28



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - 1
- ჯანმრთელობის უფლება - 1
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება - 1
- ინფორმაციის მიღების უფლება - 44
- დისკრიმინაცია - 12
- რელიგიის თავისუფლება - 1
- გადაადგილების თავისუფლება - 2
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება - 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 9
- განათლების უფლება - 2
- ხანდაზმულთა უფლებები - 1
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები - 5
- დევნილთა უფლებები - 9
- სოციალური დახმარებს საკითხი - 12
- შრომითი უფლებები - 8
- საკუთრების უფლება - 8
- უფლება სათანადო საცხოვრისზე - 5
- პატიმრობების პირობები - 174
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 57
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 21
- ბავშვის უფლებები - 22
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 11
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 14
- სხვადასხვა - 311



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე